ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №90-ს

3.10. 2016 წელი

მუხლი 1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთი მხრივ, სსიპ „ეროვნული საშენი მეურნეობა" (შემდგომში - „შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი დირექტორის რევაზ ბეჟაშვილის მიერ და მეორეს მხრივ ა(ა)იპ "საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღი" (შემდგომში - „მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი დირექტორის თამაზ დარჩიძის სახით:

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

2.1. შემსყიდველმა განახორციელა გამარტივებული შესყიდვა საკუთარი შემოსავლების ფარგლებში მეურნეობის ტერიტორიაზე ნერგების მდგომარეობის ადგილზე კვლევისა და შეფასების მომსახურების დადგენის მიზნით კვლევის მომსახურების (საქართველოს კანონის მე–3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტი) (შესყიდვის ობიექტის ერთგვაროვნება 77200000 - სატყეო მეურნეობასთან დაკავშირებული მომსახურებები დეტალური კოდი 77231500 - ტყის მონიტორინგი ან შეფასება) შესყიდვაზე და მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება მიაწოდოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული მომსახურება 300 (სამასი) ლარად (შემდგომში – „ხელშეკრულების ღირებულება").

2.2 ხელშეკრულების 2.1. პუნქტში აღნიშნულ ფასში შედის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი და მოსაკრებელი.

მუხლი 3. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები

3.1. მეურნეობის ტერიტორიაზე არსებული ჩვეულებრივი ნუშის ნერგების (სახეობების, პარამეტრების, რაოდენობისა და წარმოშობის) მდგომარეობის ადგილზე კვლევისა და შეფასების მომსახურების შესყიდვა.

3.2. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 300 (სამასი) ლარს ხელშეკრულების დანართი #1 -ის შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 4. მომსახურების გაწევის პირობები

4.1. მომსახურების გაწევა განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში. შემსყიდველის ტერიტორიაზე გარდაბნის რაიონი სოფ. სართიჭალა გომბორის გზატკეცილის მე–6 კილომეტრი (საკადასტრო კოდი:81.12.08.793)

მუხლი 5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება უნდა გაფორმდეს მიღება–ჩაბარების აქტით, ერთეტაპად ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად.

5.2. მომსახურების დამთავრებისთანავე მიმწოდებელი წარუდგენს შემსყიდველს მიღება-ჩაბარების აქტს, მცენარეების აღწერა-შეფასების დასკვნას და ანგარიშ ფაქტურას დადგენილი წესის მიხედვით.

მუხლი 6. ანგარიშსწორების პირობები

6.1.ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო ანგარიშსწორება ლარებში.

6.2.ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

6.3. მომსახურების ღირებულების ანაზღაურება იწარმოებს ერთჯერადად, ხელშეკრულების 5.2 პუნქტში მითითებული დოკუმენტების შემსყიდველისათვის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

მუხლი 7. მხარეთა ვალდებულებები

7.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

7.1.1. შემსყიდველს გაუწიოს მომსახურება წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად და უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა;

7.1.2. კეთილსინდისიერად დამაღალ პროფესიონალურ დონეზე შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება;

7.1.3.დროულად განიხილოს „შემსყიდველის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან;

7.2. შემსყიდველი ვალდებულია:

7.2.1. უზრუნველყოს „მიმწოდებლის" დროული და სრული დაფინანსება.

7.2.2. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

მუხლი 8. მხარეთა უფლება

8.1.მიმწოდებელს უფლება აქვს:

8.1.1.ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.

8.2. შემსყიდველს უფლება აქვს:

8.2.1. აწარმოოს ხელშეკრულების პირობების შესრულების მონიტორინგი.

მუხლი 9. ფორს-მაჟორი

9.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორსმაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული

შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

9.3. ფორსმაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

მუხლი 10. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა

10.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან
დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.
10.2. წინამდებარე ხელშეკრულების ფასების შეცვლა დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.
10.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს „შეთანხმების" სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

მუხლი 11. სადავო საკითხების გადაწყვეტა

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
11.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადავო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

მუხლი 12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

მუხლი 13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულების (მათ შორის ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილების) შემთხვევაში მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო შესასრულებელი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 0,02%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
13,2 . ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში შესაბამის მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 10%-ის ოდენობით;
13.3. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
13.4. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების არაჯეროვანი შესრულებისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 0,2%-ს, მეორე მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

მუხლი 14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

14.1.1. მხარეთა შეთანხმებით;

14.1.2. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 15. ინსპექტირების პირობები

15.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს შემსყიდველის სატყეო მეურნეობისა და ტექნოლოგიების სამსახურის უფროსის მოადგილე ნიკოლოზ დემეტრაძე

15.2. წინამდებარე ხელშეკრულების 15.1. პუნქტით გათვალისწინებული პირის ფუნქციებია:

15.2.1. მომსახურების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

15.2.2. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება;

15.2.3. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ღონისძიებების განხორციელება;

მუხლი 16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2016 წლის 15 დეკემბრის ჩათვლით.

მუხლი 17. განსაკუთრებული პირობები

17.1. ხელშეკრულება შედგენილია 3ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

17.2. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება „მიმწოდებელთან", ორი ეგზემპლარი _ „შემსყიდველთან".

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
სსიპ"ეროვნული საშენი მეურნეობა"	ა(ა)იპ "საქართველოს ეროვნული
გარდაბნის მუნიციპალიტეტი	ბოტანიკური ბაღი"
სახელმწიფო ხაზინა	სახელმწიფო ხაზინა
სახაზინო კოდი TRESGE22	სახაზინო კოდი TRESGE22
ა/ა # GE24NB0330100200165022	ა/ა # 741887499
ს/კ № 226575024	ს/კ № 404405960
რევაზ ბეჟაშვილი	თამაზ დარჩიძე
დირექტორი	დირექტორი

გასაწევი მომსახურების ფასების ცხრილი

#	მომსახურების დასახელება	ერთეულის ფასი	რაოდენობა ცალი	სულ ჯამი
1	მცენარის (დიამეტრი არაუმეტეს 8 სმ) სახეობის დადგენა	10	30	300
2	მცენარის (ღეროს დიამეტრი არანაკლებ 8სმ) სახეობის დადგენა	20	x	x
3	მცენარის დიამეტრი (არაუმეტეს 8 სმ) სიმაღლის და დიამეტრის დადგენა	5	x	x
4	მცენარის (ღეროს დიამეტრი აღემატება 8 სმ) სიმაღლის და დიამეტრის დადგენა	15	x	x
5	მცენარის ასაკის დადგენა	25	x	x
6	მცენარის მავნებელ დაავადებების დადგენა	20	x	x
7	მცენარის GPS კოორდინატების დადგენა	10	x	x
8	მცენარის მავნებელ-დაავადებების საწინააღმდეგო ღონისძიებების გეგმის შემუშავება და რეკომენდაციების მომზადება	30	x	x
9	მცენარის ზოგადი მდგომარეობის შეფასება	10	x	x
მცენარეთა რაოდენობა/მომსახურების საერთო ღირებულება				300 ლარი
ფასდაკლება (0%)				x
სულ ჯამი (ასაწაზღაურებელი თანხა):				300 ლარი

„შემსყიდველი“
სსიპ“ეროვნული საშენი მეურნეობა”

ლევან ბეჟაშვილი
დირექტორი

„მიმწოდებელი“
ა(ა)იპ "საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღი"

თამაზ დარჩიძე
დირექტორი